საქართველო

# საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

## გურიის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო

№2-21/209 22 დეკემბერი 2010 წელი

სსიპ „ქ. ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის" დირექტორს

ბატონ **თ. კილაძეს**

ბატონო თამაზ,

გაცნობებთ, რომ თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 24.11.2010წ. №05/1412 წერილისა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის **სსიპ „ქ. ლანჩხუთის პირველი სკოლისათვის"** (საიდენტიფიკაციო ნომერი 233646365) პირველად სარგებლობაში გადაცემულია სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება.

გთხოვთ, საჯარო რეესტრში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაარეგისტრიროთ **სარგებლობის უფლება უძრავ ქონებაზე** ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემებისა და პირობების გათვალისწინებით:

ქონების მიმღები ორგანო – **სსიპ „ქ. ლანჩხუთის პირველი სკოლა"**;
სარგებლობაში გადასაცემი ქონების დასახელება:

1. – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მდებარე მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. №123, საკადასტრო კოდი №27.06.56.099, ფართი – 6096 კვმ (ნორმატიული ღირებულებით 55 595,52 ლარი), მასზე განთავსებულ 5 ერთეულ შენობა-ნაგებობასთან ერთად, კერძოდ:
- სკოლის შენობა – საერთო ფართი 2741,1 კვმ;
- საქვაბე – საერთო ფართი 13 კვმ;
- ბუფეტი – საერთო ფართი 35 კვმ;
- ტუალეტი – საერთო ფართი 14,44 კვმ;
- დარბაზი – საერთო ფართი 161,7 კვმ.

ქონების საექსპლოატაციო მდგომარეობა - ნორმალური.

2. – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მდებარე მისამართზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. მაჩხვარეთი, საკადასტრო კოდი №27.07.42.032, ფართი – 1555 კვმ (ნორმატიული ღირებულებით 4960,45 ლარი), მასზე განთავსებულ ერთ ერთეულ შენობა-ნაგებობასთან ერთად, კერძოდ:
- სკოლის შენობა – საერთო ფართი 515,7 კვმ;

ქონების საექსპლოატაციო მდგომარეობა – შენობის უმეტესი ნაწილი საჭიროებს მიმდინარე შეკეთებას.

3. – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მდებარე მისამართზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. გვიმბალაური, საკადასტრო კოდი №27.08.47.022, ფართი – 3384 კვმ (ნორმატიული ღირებულებით 15431 ლარი), მასზე განთავსებულ 2 ერთეულ შენობა-ნაგებობასთან ერთად, კერძოდ:
- სკოლის შენობა – საერთო ფართი 909,3 კვმ;

3500 ქ. ოზურგეთი, მ.კოსტავას ქ.№1, Tel—Fax: 8(296)7-57-27

- ტუალეტი – 11.9 კვმ;
ქონების საექსპლოატაციო მდგომარეობა - დამაკმაყოფილებელი.

<u>ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა</u> – **სსიპ „ქ. ლანჩხუთის პირველი სკოლის"** არსებობის ვადით;

<u>ქონების გადაცემის სხვა პირობები</u> – სარგებლობაში მიღებული ქონების გამოყენება მხოლოდ ქონების მიმღები ორგანოს დებულებით გათვალისწინებული სამსახურეობრივი საქმიანობისათვის, სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების ნორმალურ საექსპლუატაციო მდგომარეობაში შენარჩუნება და კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში. სარგებლობის უფლების გაუქმება დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე წერილობითი თანხმობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველს.

ქონებაზე უფლების რეგისტრაციისა და ამონაწერის მიღების უფლებამოსილება ენიჭება სახელმწიფო ქონების მიმღები ორგანოს დირექტორს ბატონ თ. კილაძეს.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის დადგენილება №302, 01.10.2010წ. „სახელმწიფო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე".

დანართი: - წერილი – 1 ფურც;

**პატივისცემით,**
**სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. გოგოხიშვილი**